პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 8 (10705) | ხუთშაბათი, 10 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ენერგიულად ვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელს — 1957 წელს დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წინაშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში. მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავალს სწორედ აზლა ეყრება საფუძველი, როცა დადგა გადამწყვეტი პერიოდი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. მთავარი ამოცანა ის არის, რომ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ფართოდ გავაჩაღოთ თესვისათვის მზადება, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მინდვრის სამუშაოებს.

მალე კოლმეურნეობებში დაიწყება საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ეს დიდი მოვლენაა საკოლმეურნეო ცხოვრებაში; კოლმეურნეთა კრებებზე საფუძვლიანად უნდა იქნას განხილული საგაზაფხულო თესვისათვის მზადების აქტუალური საკითხები. ამ საქმეში მეტად დიდია საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი. სოფლის კომუნისტების ღვიძლი საქმეა დარაზმონ კოლმეურნეები, მექანიზატორები საგაზაფხულო თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის და მიაღწიონ იმას, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები წელს ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე.

სადაც პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან უხვი მოსავლის მოყვანისათვის ლაშქრობას, იქ საქმეც კარგად მიდის. „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი მცხეთის რაიონიდან იტყობინება, რომ სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში გაზაფხულზე დასათესად გამოყოფილი სხვადასხვა კულტურის თესლი სრულ კონდიციამდეა აყვანილი და კარგად ინახება.

დმანისის, ცხაკაიას და ენისლის მტს-ების მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს ტექნიკის მომზადების გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალება. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

მთლიანად რესპუბლიკაში გადაჭარბებით არის შესრულებული ტრაქტორების რემონტის 1956 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა. ამასთან არის ცალკეული მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, სადაც პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უყურადღებობით ბრკოლდება რემონტის სამუშაოები. ქედის მტს-ს ჰყავს მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები, მაგრამ ისინი რემონტზე სათანადოდ არ არიან გამოყენებულნი, შინაგანი რეზერვების გამოყენებასაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამის გამო შედეგი ცუდია. 1 იანვრისათვის ქედის მტს-ს ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალება მხოლოდ 87,5 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. ტექნიკის მომზადების გაჭიანურების ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე ბარალეთის, თიანეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მტს-ებში. საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა შეისწავლონ რემონტზე მომუშავეთა პირობები, სარემონტო სახელოსნოების მდგომარეობა, გააძლიერონ რემონტის სამუშაოებისადმი ხელმძღვანელობა, ფართოდ დანერგონ პროგრესული მეთოდი—ტრაქტორების შეკეთება კვანძური მეთოდით და არ დაუშვან არცერთი მტს-ის ჩამორჩენა ამ საქმეში. ჩვენი რესპუბლიკის მტს-ების მუშაკთა ღირსების საქმეა კონკრეტული საქმეებით უპასუხონ როსტოვის ოლქის მექანიზატორთა მოწოდებას — მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

თესვისათვის მზადების მნიშვნელოვანი უბანია კოლმეურნეობების უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი თესლით. მთელ რიგ რაიონებში სათესლე მასალის ვარგისიანობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თესლის საკონტროლო ლაბორატორიის ცნობებით, გასული წლის 30 დეკემბრისათვის კონდიციური იყო 73.793 ცენტნერი საგაზაფხულო მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების თესლი, გეგმის 29,4 პროცენტი.

ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონების მეტწილ კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ საგაზაფხულო მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების კონდიციური თესლი.

ჭიათურის, ახმეტის, ქარელის, ყვარლის, ჩოხატაურის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათესლე სიმინდის დიდი რაოდენობა ტენიანია, და თუ ახლავე არ მიიღეს სასწრაფო ზომები თესლის გასაშრობად, მას დალპობა მოელის. ბევრად უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის რაიონებისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მეტ წილ კოლმეურნეობებშია.

ზოგან სიმინდის თესლის დიდ ტენიანობას ხსნიან იმით, რომ სიმინდის აღების დღეებში ცუდი ამინდები დაიჭირა და მისი გაშრობა არ მოხერხდაო. ეს არ არის სწორი. მაგალითად, ხობის რაიონის კოლმეურნეობებში სათესლედ გამოყოფილი 3.229 ცენტნერი სიმინდი მთლიანად კონდიციურია. ასევეა გეგეჭკორის რაიონსა და ფოთში. როგორ მიაღწიეს აღნიშნულ რაიონებში თესლის კონდიციურობას? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ სათესლე სიმინდი დროზე აიღეს, გადაარჩინეს, მოათავსეს თესლსაშრობ სასიმინდეებში, გულმოდგინედ იზრუნეს თესლის გასაშრობად.

თესლის საკონტროლო ლაბორატორიების ვალია არ დაკმაყოფილდნენ მარტო სათესლე მასალის ანალიზით, არამედ მტკიცე კონტროლი გაუწიონ თესლის გაწმენდას, გაშრობას და შენახვას. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა აღკვეთონ უდარდელი დამოკიდებულება სათესლე მასალისადმი, უზრუნველყონ ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარება.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო სამუშაოთა სწორად დაგეგმვას. სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის ინტერესები მოითხოვენ, რომ კოლმეურნეობების 1957 წლის საწარმოო გეგმები ითვალისწინებდნენ არსებული დიდი რეზერვების მთლიანად გამოყენებას. მთავარია ის, რომ ზუსტად განვახორციელოთ დაგეგმვის ახალი წესი, რომლის ამოსავალი საწყისი არის სასაქონლო პროდუქციის მოცულობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა უნდა მოხდეს უშუალოდ კოლმეურნეობებში მტს-ებთან ერთად. კოლმეურნეობებს მართებთ სერიოზულად მიუდგნენ საკითხს და, რაც მთავარია, სწორად განსაზღვრონ სათესი ფართობების სტრუქტურა, არ დაუშვან შაბლონი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებაში. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეული და საკვები კულტურების, კერძოდ სიმინდის განვითარებას. მოწინავე მეურნეობების გასული წლის პრაქტიკამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სიმინდი ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურაა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და პირობა დადეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მომდინარე წელს უხვი მოსავლის მოსაყვანად. საგაზაფხულო თესვის კარგად მომზადება და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარება ახალი ნაბიჯი იქნება ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანის — სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ამოცანის განხორციელების გზაზე.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მორიგი არჩევნების დროს გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წ. 7 იანვარი.

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის

8 იანვარს მოსკოვში, კრემლში, დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინი. მოლაპარაკებას ესწრებიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე მარშალი ხე ლუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძიან-სიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა ყოველმხრივი გაზიარება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. მოლაპარაკების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აგრეთვე საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარებასთან და აინტერესებს ორივე მხარეს.

შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება.

• • •

9 იანვარს მოსკოვში, კრემლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, პრემიერის მოადგილემ მარშალმა ხე ლუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვან ძია-სიანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. თ. იუდინმა. მოლაპარაკებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ი. ფ. კურდიუკოვი.

შეხვედრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა, ისე როგორც წინა დღეს, გულითადობისა და მეგობრობის სულისკვეთებით, მოლაპარაკების მონაწილენი განაგრძობდნენ აზრთა გაზიარებას საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ორივე ქვეყნის ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო ვითარების საკითხებზე.

მოლაპარაკება გაგრძელდება.

მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მუდმივი კომისიის სხდომა

8 იანვარს მოსკოვში გაიხსნა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის მუდმივი კომისიის სხდომა. მოსმენილ იქნა ცნობები ფესტივალისათვის მზადების შესახებ, განხილულ იქნა კომისიის მუშაობის გეგმები და საკითხი ფესტივალში სხვადასხვა ეროვნული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ ეგვიპტის, იტალიის, კანადის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირის, საფრანგეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციების, აგრეთვე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები.

მუდმივი კომისია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

მოსკოვიდან გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

8 იანვარს საღამოს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ვიცე-პრემიერ-მინისტრის ო. გროტეოლის მეთაურობით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ბელორუსიის ვაგზალში დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიქოიანმა, მ. ზ. საბუროვმა, მ. ა. სუსლოვმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, დ. ტ. შეპილოვმა, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

ვაგზალში სპეციალური მატარებლის გასვლის წინ მოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ამხანაგი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ამხანაგი ხე ლუნი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები, რომლებიც მეგობრული ვიზიტით იმყოფებიან მოსკოვში.

ვაგზალში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის გამცილებელთა შორის იყვნენ აგრეთვე რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

მთავრობის დელეგაციის გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს პერსონალი, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების წევრების, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების გამოჩენას ვაგზალში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა პრემიერ-მინისტრმა ო. გროტეოლმა მიკროფონთან გააკეთა განცხადება.

საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები მაგრად ართმევენ ხელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს. სპეციალური მატარებელი გადის ბელორუსიის ვაგზლის ბაქნიდან. (საკდესი).

დეპეშა

მის აღმატებულებას

კ. ვოროშილოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

სუდანის უმაღლესი კომისიის წევრთა და ხალხის სახელით მსურს გამოვთქვა ჩემი გულწრფელი მადლობა თქვენ მიერ გამოთქმული თავაზიანი გრძნობებისა და მოლოცვისათვის დამოუკიდებლობის დღის გამოცხადების გამო.

დარდირი
მოჰამედ ოსმანი,
უმაღლესი კომისიის თავმჯდომარე

ხართუმი, სუდანი. 1957 წ. 8 იანვარი.

დეპეშა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მის აღმატებულებას

გატონ ნ. ბულგანინს

მოსკოვი

ჩემთვის დიდად სასიამოვნოა გადმოგცეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი სახელით და სუდანის ხალხისა და მთავრობის სახელით უმხურვალესი მადლობა თქვენი გულთბილი მოსალოცი დეპეშისათვის ჩვენი ეროვნული დღესასწაულის გამო.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები პირადად თქვენი ბედნიერებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შემდგომი წარმატებებისა და აყვავებისა.

აბდალაჰ ჰალილი,
პრემიერ-მინისტრი

ხართუმი, სუდანი. 1957 წ. 3 იანვარი.

როსტოვის ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტების, კომბაინერების, შემკეთებელი მუშების, საგრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების

მიმართვა

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მექანიზატორს

ძვირფასო ამხანაგებო! ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, როსტოვის ოლქის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

იბრძვიან რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა უსწრაფესი განხორციელებისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებმა კოლმეურნეებთან მჭიდრო თანამშრომლობით 1956 წელს ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებაში. მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეულის საერთო მოსავალი, ვადამდე შესრულდა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 65 მილიონი ფუთი პური, ანუ 10 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან. ისეთი ძვირფასი კულტურის ნათესი ფართობები, როგორიც სიმინდია, გადიდდა 443 ათას ჰექტარამდე, ანუ 5-ჯერ მეტია 1954 წელთან შედარებით. სიმინდი დაითესა მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივი წესით, დაყალიბებული თესლით, რამაც შესაძლებელი გახადა დროზე გვეწარმოებინა მექანიზებული დამუშავება და მიგვეღო მარცვლეულისა და მწვანე მასის კარგი მოსავალი. სახელმწიფოსათვის მზესუმზირას თესლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 164 პროცენტით. სახელმწიფოს ჩაბარდა 3,7 მილიონი ფუთით მეტი მზესუმზირას თესლი, ვიდრე შარშან. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს რძის ჩაბარების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 232,5 ათასი ტონა რძე, ანუ 60 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1955 წლის ამავე პერიოდში. შარშანდელზე გაცილებით მეტი ჩაბარდა სახელმწიფოს ხორცი, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები წლითიწლობით ადიდებენ სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობას, სავსებით მექანიზებულია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები — ხვნა, სათოხნი და ტექნიკური კულტურების მწკრივთა შორის დამუშავება, თავთავიანი კულტურებისა და მზესუმზირას მოსავლის აღება.

1957 წელს ოლქის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ისახავენ ამოცანას მოიყვანონ უფრო მეტი მარცვლეული, აწარმოონ უფრო მეტი რძე, ხორცი, კვერცხი, მატყული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ამ ამოცანის შესრულება დამოკიდებული იქნება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ხარისხსა და დროულად მომზადებაზე, თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებაზე.

წელს ოლქის მექანიზატორებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა კარგად მოამზადეს სახელოსნოები და ჩარხების მოწყობილობა, დროზე გააჩაღეს ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტი. როდიონოვო-ნესვეტაისკოს მტს-ის კოლექტივი გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ვადამდე, მაღალხარისხოვნად შესრულებისა და მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მომზადებისათვის ოლქის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად. ამ მოწოდებამ ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა დონის ყველა მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში. 1956 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით ოლქის მტს-ებმა ტრაქტორების რემონტის კვარტალური გეგმა 144 პროცენტით შეასრულეს, ხოლო 25 მტს-მა უკვე დაამთავრა ყველა ტრაქტორის რემონტი. განსაკუთრებით ორგანიზებულად შეასრულეს ტრაქტორების რემონტი და ოლქში პირველებმა დაამთავრეს შემოდგომა-ზამთრის რემონტის გეგმა როდიონოვო-ნესვეტაისკოეს, ბოლშე-კრეპინსკაიას, კუგეისკის, ცელინის, რემონტნოეს, კუიბიშევის, ვესიოლის, ზაპადნის, ვოლუევსკის, ვორონცოვკის, ხლებორობნენსკის, პერვომაისკის მტს-ებმა და მარცვლეულის სასწავლო-საცდელმა საბჭოთა მეურნეობამ.

ჩვენ, როსტოვის ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტები, კომბაინერები, შემკეთებელი მუშები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, 1957 წლის მინდვრის სამუშაოთა ჩასატარებლად მათი სანიმუშოდ მომზადებისათვის და კისრულობთ შევაკეთოთ ყველა ტრაქტორი, ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი მანქანები 15 თებერვლისათვის, კომბაინები, ლაფეტიანი სამკალები, შემგროვებლები და თივის ასაღები მანქანები — 1957 წლის 1 მაისისათვის. ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის თვითღირებულება შევამციროთ 6 პროცენტით ლიმიტურ ღირებულებასთან შედარებით.

მანქანა-ტრაქტორთა შეკეთება ვაწარმოოთ მხოლოდ კვანძური მეთოდით, ტრაქტორებისა და კომბაინების მოტორები გამოვცადოთ სიმძლავრესა და საწვავის ხარჯვაში, ვაწარმოოთ გადაცემათა შეცვლის კოლოფებისა და უკანა ხიდების გასახმარისება. ყოველი შეკეთებული ტრაქტორი გავასახმარისოთ დაწესებული რეჟიმის მიხედვით, ყველა ტრაქტორსა და კომბაინზე მოვაწყოთ ელექტროგანათება და მოვამარაგოთ მექანიზატორები საჭირო ინსტრუმენტების კომპლექტით. მინდვრის სამუშაოთა დაწყებისათვის თვითეულ მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში შევქმნათ აგრეგატების, კვანძებისა და სათადარიგო ნაწილების შესაცვლელი ფონდი საველე პირობებში ტექნიკური მოვლისა და წვრილმანი რემონტის ნორმალური შესრულებისათვის. 1957 წლის იანვარ-მარტში თვითეულ მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში მოვაწყოთ მუდმივი და სეზონური მუშების ტექნიკური სწავლება კვალიფიკაციის ამაღლებისა და უსაშიშრობის ტექნიკის დარგში. მოვაწყოთ მანქანების დიდი წარმადობით გამოყენება და სწორი შენახვა წლის განმავლობაში. მექანიზატორთა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე კარგად მოვაწყოთ ყველა საველე ბანაკი სატრაქტორო ბრიგადებში.

ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გავაჩაღოთ საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომზადების, თოვლის შეკავების, ადგილობრივი და მინერალური სასუქების გატანის, მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და პირუტყვის კარგად გამოზამთრების უზრუნველყოფის სამუშაოები.

ძვირფასო ამხანაგებო, შეგნებული გვაქვს რა მთელი პასუხისმგებლობა მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ჩვენ, როსტოვის ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მივმართავთ საბჭოთა კავშირის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ტრაქტორისტს, კომბაინერებს, შემკეთებელ მუშებს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს წინადადებით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად და ვადამდე შესრულდეს ყველა ტრაქტორის, კომბაინისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი და სანიმუშოდ მომზადდეს ისინი 1957 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის.

მიმართვა განხილული და მიღებულია როსტოვის ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა კრებებზე.

(საკდესი).

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს პირველი წარმატებები მოიპოვეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, რაიონმა, რომელიც მარცვლეულის ფართობისა და საერთო გამოსავლიანობის მიხედვით უდიდესია რესპუბლიკაში, საშუალოდ ჰექტარზე 16,9 ცენტნერი ხორბალი მიიღო. მოყვანილია აგრეთვე სიმინდის კარგი მოსავალი. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა 126 პროცენტით შესრულდა. კოლმეურნეობებმა შეინახეს სათესლე და სადაზღვევო ფონდები და ბევრ ხორბალს არიგებენ შრომადღეებზე.

გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, რომელშიც გადამწყვეტ როლს სიმინდი ასრულებს. პირუტყვის კარგი მოვლისა და საკმარისი რაოდენობით წვნიანი, კონცენტრირებული და უხეში საკვებით მისი უზრუნველყოფის შედეგად რაიონის მეცხოველეობის ფერმებმა წარმატებით გაანაღდეს დავალება წველადობის დარგში. განვლილ სამეურნეო წელს თვითეულ ძროხაზე მიღებულია 1.256 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.098 კილოგრამისა. წითელწყაროელებმა რძის დამზადების გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულეს. რაიონმა შეასრულა აგრეთვე მატყლის დამზადების გეგმა 103 პროცენტით და კვერცხისა — 106 პროცენტით.

სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეთა ინიციატივით რესპუბლიკაში დაიწყო შეჯიბრება მეღორეობის, როგორც ყველაზე მალემზარდი მეცხოველეობის დარგის, განვითარებისათვის. დიდი გამოცდილებისა ჰპოვა წითელწყაროელთა მოწოდებამ იმის შესახებ, რომ 1956 წლის დამლევამდე, მთლიანად რესპუბლიკაში გაესუქებინათ 60 ათასი სული ღორი. თვითონ წითელწყაროელმა კოლმეურნეებმა ამოცანად დაისახეს თავიანთი რაიონი გადაექციათ ხორცისა და რძის ფაბრიკად და ვალდებულება იკისრეს გაესუქებინათ სულ ცოტა 4.000 ღორი. ეს ვალდებულება შესრულებულია. მათ გაასუქეს 4.005 ღორი. რაიონმა 102 პროცენტით შეასრულა ხორცის დამზადების გეგმა, აქედან ღორის ხორცის დამზადებისა — 109 პროცენტით.

რაიონში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება უხვი მოსავლისათვის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი ზრდისათვის, იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ სოფლის მეურნეობის უფრო მეტი პროდუქტები.

რაიონის კოლმეურნეობები გაძლიერებით ემზადებიან მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. მიმდინარეობს თესლის გაწმენდა და სათეს კონდიციამდე აყვანა. წითლის, გამარჯვებისა და ქედის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კოლექტივები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმები, სწრაფად აწარმოებენ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტს, რათა საგანგებო მომზადებული შეხვდნენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. (საქ. დესი).

გოსტნეულის მაღალხარისხოვანი თესლი

გორი. (საკ. კორ.). „მეთესლეობის ფაბრიკა“ — ასე უწოდებენ რაიონში სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადს“, რომელსაც დიდი რაოდენობით გამოჰყავს ბოსტნეული კულტურების თესლი. კოლმეურნეობაში შექმნილია მეთესლეობის სპეციალური ბრიგადა (ხელმძღვანელი ი. კოჩუაშვილი).

მეთესლეობა კოლმეურნეობას დიდ შემოსავალს აძლევს. ჩაბარებული თესლის ანგარიშში არტელმა წელს 407 ათასი მანეთი მიიღო.

ხელთუბნელი მებოსტნე კოლმეურნეები სახელმწიფოს მხოლოდ მაღალხარისხოვან ბოსტნეულის თესლს აპარებენ. მაგალითად, წელს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 14,5 ცენტნერი ხახვის, 6 ცენტნერი ისპანახის, 3,11 ცენტნერი სალათის, 6,78 ცენტნერი სტაფილოს თესლი.

აქამდე კოლმეურნეობებში თესლის გამოღება ხელით წარმოებდა. ეს კოლმეურნეთა დიდ შრომას მოითხოვდა. წელს კოლმეურნეობაში თესლის გამოსაღები სპეციალური მანქანები შეიძინეს. ახლა ეს სამუშაო მექანიზებულია. ამან დიდად შეამსუბუქა შრომა.

საქბოსტანჯიშთესლის გორის საგრაინთაშორისო კანტორამ (უფროსი აგრონომი გ. ბალამწარაშვილი), რომელიც თესლის გამოყვანას აწარმოებს ქართლის, მესხეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 35 კოლმეურნეობაში, წელს სულ უნდა დაამზადოს ბოსტნეული კულტურებისა და მეცხოველეობისათვის საკვები ძირხვენების 1.160,4 ცენტნერი თესლი.

მეთესლეობის ყველა კოლმეურნეობაში კარგა ხანია დამთავრდა სათესლე ნაკვეთებიდან თესლის აღება. თესლის კარგი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ქარელის რაიონის სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, ხაშურის რაიონის ქვემო ოსიაურის, ვაყის, გომის კოლმეურნეობებმა.

გეგმის გადამეტებით უკვე დამზადებულია 43,29 ცენტნერი „სხვილისური“ ხახვის, 10,65 ცენტნერი „ბრაუნშვეიგის“ ჯიშის კომბოსტოს, 11 ცენტნერი სტაფილოს, 81,37 ცენტნერი საკვები ჭარხლის თესლი. აგრეთვე გადამეტებით არის დამზადებული სუფრის ჭარხლის და ისპანახის თესლი.

გამოვლინებულია ქვანახშირის ახალი რეზერვი

ახალციხე-ქვანახშირის შახტებს შორის პირველი შახტი ყველაზე რთული სამთო-გეოლოგიური პირობებით ხასიათდება. ეს, ცხადია, ართულებს შახტის ექსპლოატაციას, მეშახტეების შრომას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ შახტში ფენების დამუშავება თანმიმდევრულად არ ხდებოდა. თავმინებებული იყო მეორე და პირველი ფენის მომზადება და დამუშავება, შეუძლებლად თვლიდნენ მესამე ფენის ქვედა შრეში ქვანახშირის ამოღებას.

ამ საკითხით დაინტერესდა შახტის ხელმძღვანელობა (შახტის უფროსი ინჟინერი დ. დობორჯგინიძე) და საშახტო პარტიული ორგანიზაცია, რომლებმაც მოახდინეს ადგილობრივ სამთო სპეციალისტთა მობილიზაცია, შეუდგნენ მესამე ფენის ქვედა შრის შესწავლას. გამოირკვა, რომ აქ ქვანახშირის დიდი რეზერვი იყო, მაგრამ თავი იჩინა ამ რეზერვის გამოყენების სიძნელემ. საქმე ის არის, რომ ქვანახშირის ეს მარაგი მდებარეობს გამომუშავებული სივრცის ქვეშ, სადაც აწმენდის სამუშაოების დაწყება გეოლოგიური აშლილობის ვითარებაში მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა.

საქმის სიყვარულმა და გაბედულობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. მესამე ფენის ქვედა შრე გაწმენდეს. დაიწყეს ქვანახშირის აღმოჩენილი მარაგის დამუშავება, რამაც შახტი მოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

ქვანახშირის ამ ახალი რეზერვის გამოვლინების მნიშვნელობის სიღრმისეულად ვიტყვით, რომ ამ რეზერვის შემატებამ შახტის საპროექტო სიმძლავრე თითქმის ერთიორად გაიდიდა. ეს დამატებითი მარაგი შახტის კოლექტივს 10 წლის ვადით დატვირთავს.

ქვანახშირის ახლადგამოვლინებული ფენის დამუშავებას ეწევა მეოთხე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, რომელიც წინათ სისტემატურად ჩამორჩებოდა. როგორც კი ამ ფენის ერთი ლავის ექსპლოატაცია დაიწყო, უბნის მუშაობას გარდატეხა დაეტყო, ქვანახშირის ამოღების გასული წლის სექტემბრის გეგმა 15 დღეში შესრულდა. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 7 მანეთითა და 89 კაპიკით შემცირდა და საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

გასული წლის ოქტომბერსა, ნოემბერსა და დეკემბერში არა მარტო მეოთხე უბნის, არამედ მთელი შახტის კოლექტივი სისტემატური გადაჭარბებით ასრულებდა ქვანახშირის ამოღების საღღეღამისო დავალებებს.

ახალციხე-ქვანახშირის პირველი შახტის ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ხელმძღვანელები ღრმად ჩასწვდებიან თავიანთი საწარმოს ეკონომიკის თავისებურებათა სიღრმეს, გამოიჩენენ თადარიგს, გამოავლენენ და გამოიყენებენ ადგილობრივ რეზერვებს. ერთ დროს ჩამორჩენილმა ამ შახტის კოლექტივმა უკვე დაძლია მის წინაშე არსებული სიძნელეები, ხანგრძლივი პერიოდისათვის შექმნა საამედო სამუშაო ფრონტი და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მოწინავე შახტებს შორის.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საჭიროა სამგზავრო ბაქნის მოწყობა“

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის მკითხველების შ. ჭათიაძის და გ. რუჯამაძის შენიშვნა, იმის შესახებ, რომ ქუთაისი-ტყიბულის მატარებელი სოფელ ახალსოფელთან არ ჩერდება, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის მგზავრთათვის.

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახურიდან გვაცნობეს, გზის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ეს შენიშვნა და 1956 წლის 14 დეკემბრიდან სოფელ ახალსოფლის მახლობლად დაწესა სამგზავრო მატარებლების გაჩერება. მიმდინარე წელს ამ გაჩერებაზე აშენდება ბაქანი.

მეექვსე ხუთწლედის მოძმედებაში

ახალი ქარხანა მოქმედ საწარმოთა რიგებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე ხუთწლედის განვლილი პირველი — 1956 წელი საქართველოს ინდუსტრიის განვითარების ისტორიაში კიდევ ერთი ახალი და მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს — სადიზელე და საკომპრესორო ნაწილების, ხათბობის ზეზუსტი აპარატურის ქარხნის ამუშავებით აღინიშნა. ოფიციალური სახელწოდება ამ ქარხნისა ასეთია: „ნეფტებურმაშრემონტის“ თბილისის მექანიკური ქარხანა. მისმა კორპუსებმა გასული წლის თვეებში დაამშვენეს თბილისის ფარგლებს უკვე შემოერთებული სამგორის გაცოცხლებული ველის ერთ-ერთი უბანი.

ასეთი ქარხნის არსებობის საჭიროება, — მოგვითხრო ამ ქარხნის დირექტორმა ინჟინერმა ი. უუუუნაშვილმა, — დიდი ხანია იგრძნობოდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც. დიზელდანადგარებს და კომპრესორებს ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში, განსაკუთრებით ნავთობის მრეწველობაში. საქართველოში და აზერბაიჯანშიც კი, სადაც ნავთობის მოპოვებას დიდი ხნის ისტორია აქვს, სადიზელე და საკომპრესორო სათადარიგო ნაწილები საბჭოთა კავშირის შორი მხარეებიდან შემოჰქონდათ. ეს იწვევდა რკინიგზის ტრანსპორტის გადატვირთვას, სათადარიგო დეტალების თვითღირებულების გაძიმებას, მრავალ სხვა უხერხულობას.

გარდა ამისა, 1956 წლამდე ამიერკავკასიაში არ არსებობდა ეგრეთწოდებული სათბობის აპარატურის სხვადასხვა ტიპის ძრავებისათვის საჭირო მფრქვეველების, დამმუხტავი მოწყობილობის, მიმმართველების და სხვ. წარმოება. ამ მხრივაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დამოკიდებული ვიყავით რუსეთისა და უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრებიდან აღნიშნული აპარატურის დროულად მიღებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში ძნელდებოდა და რის გამო იშვიათი როდი იყო სადიზელე და საკომპრესორო დანადგარების გაცდენა.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ გადაწყვიტა მეექვსე ხუთწლედში ამიერკავკასიაში აეგო დიზელ-მანქანებისა და საკომპრესორო დანადგარების სათადარიგო ნაწილებისა და სათბობის ზეზუსტი აპარატურის ქარხანა, რაც ამავე სამინისტროს „სოიუზნეფტებურმაშრემონტის“ ტრესტს დაეკისრა. ქარხნის აგების შესახებ საკითხის შესწავლისას ცხადი გახდა, რომ სახალხო მეურნეობის ინტერესთა თვალსაზრისით ამ საწარმოს აგება ხელსაყრელი იყო თბილისში, სადაც უკვე არსებობდა სათანადო ბაზა.

1956 წელს დაიწყო ქარხნის მშენებლობა და მოწყობა ნაკადური წესით. ვინაიდან ქარხნის პროდუქციაზე მოთხოვნილება დიდია, პარალელურად შეუდგნენ პროდუქციის გამოშვებას. ამეამადაც ქარხანა თუმცა დიდი დატვირთვით მუშაობს, მაგრამ სრული სიმძლავრით კიდევ არ არის გამართული. მოსაწყობია ავტომობილებისა და ტრაქტორების შესაკეთებელი საამქრო, დასამთავრებელია ლითონსამსხმელო საამქრო, რომელიც უახლესი მოწყობილობით იქნება აღჭურვილი. გასამართავია ელექტროდუმელები თერმიულ საამქროში და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა დიდი ბანი არ არის, რაც ამუშავდა, მისმა ახალგაზრდა კოლექტივმა უკვე შეძლო 1956 წელს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქციის — დიდგაბარიტიანი დგუშების, სარქველების, არტეზიული ტურბინტუმბოების სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

1957 წლის პირველი დეკემბიდანვე ქარხნის კოლექტივი შეუდგა ხათბობის აპარატურის გამოშვებას. ეს აპარატურა პირველი და მეორე კლასის სიზუსტით მუშაობას მოითხოვს. მაშასადამე, საჭირო არიან მაღალი კვალიფიკაციის ოსტატები, რომლებსაც სათანადო ტექნიკური ხელმძღვანელობაც სჭირდებათ. ასეთი მაღალკვალიფიციური ოსტატების მომზადებაში ამ ქარხნის კოლექტივს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია კოლომნის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც თბილისში სათანადო კვალიფიკაციის მუშების მოსამზადებლად მოავლინა ოსტატთა ბრიგადა სათბობის აპარატურის გამოჩენილი კოლომნელი ოსტატის ა. კანიგინის ხელმძღვანელობით. კოლომნელები უკვე რამდენიმე თვეა აქ არიან. მათი ხელმძღვანელობით ქარხნის კოლექტივმა აითვისა სათბობის აპარატურის წარმოება და სასტენდო გამოცდის შემდეგ, რაც იანვრის პირველ დეკემბერში მოხდა, ასეთი აპარატურა უკვე ეგზავნებათ დანიშნულებისამებრ. ახლა ქარხანაში გადასული არიან ხსენებული აპარატურის სერიულ გამოშვებაზე.

სამრეწველო მშენებლობის პარალელურად ამ ახალი ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის იწყება დიდი საბინაო მშენებლობაც. აქვე ქარხნის მახლობლად გამოყოფილია მიწის ნაკვეთები 25 მცირემეტრაჟიანი საცხოვრებელი სახლისა და სამი დიდი საცხოვრებელი სახლის ასაგებად. დაწყებულია და უკვე მთავრდება მუშათა საცხოვრებელ უბანში კლუბის დიდი შენობის, სასადილოსა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სადარაჯო შენობების აგება.

მომდინარე წელს ამ ქარხანას გასულ წელთან შედარებით ორმაგად გაუდიდეს დავალება. ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა უზრუნველყოს ამ დავალების ვადამდე განაღდება. კოლომნიდან ჩამოსული სახელოვანი ნოვატორების — ა. კანიგინის, მ. რემიზოვის, ი. ნარხოვის, ვ. გულიაევის, ვ. კალაშნიკოვის, აგრეთვე ქარხანაში უკვე დაწინაურებული ოსტატების უ. ტალიაშვილის, ვ. აზარაშვილის, შ. უფფარაშვილის, ლ. ყიფიანის და სხვათა თავდადებული მუშაობა იმის საწინდარია, რომ ქარხნის კოლექტივი მტკიცედ ჩადგება თბილისის მოწინავე საწარმოთა წყებაში.

დ. ამირანიძე.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ოსტატი ა. კანიგინი (მარცხნივ) ხარატებს განუმარტავს სათბობი აპარატის ერთ-ერთი დეტალის დამუშავების ხერხს; ქვემოთ — ქარხნის მოწინავე ხარატი გ. ერინი დიდგაბარიტიანი დგუშის ქარქაშის დამუშავებისას საკარუსელო ჩარხთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

წიგნი მევენახეობაზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გასულ წელს გამოსცა აგრონომ ი. რცხილაძის წიგნი „საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა“. ამ ნაშრომის ღირსება ის არის, რომ იგი აგროეკონომიური ხასიათისაა, მოკლედ ეხება საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიას. მასში ფართოდ არის გაშუქებული სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომში გასაგებად არის ნაჩვენები საქართველოს მევენახეობის რაიონების, ვაზის მთავარი და პერსპექტიული ჯიშების დახასიათება, აღწერილია მევენახეობის მოწინავე მეურნეობათა მუშაობა და დაყენებულია მთელი რიგი არსებითი საკითხები, რომელთა წარმატებით გადაჭრა ხელს შეუწყობს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას მევენახეობის განვითარების დარგში.

ბროშურაში მოყვანილია მრავალი ციფრობრივი მასალა, რომლის ერთი ნაწილი ეხება ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების, ხოლო მეტი ნაწილი — საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონების დახასიათებას.

მკითხველი ბროშურიდან ეცნობა ვენახების ფართობების ხვედრითს წონას, ვენახების ასაკობრივ და ჯიშობრივ შემადგენლობას, ყურძნის მოსავლიანობას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ყურძნის საერთო მოსავალს და სხვ.

მოყვანილ ციფრობრივ მაჩვენებლებს დართული აქვს საკმაოდ სრული ტექსტობრივი ანალიზი.

შრომაში ნაჩვენებია მევენახეობის წამყვანი რაიონები და ცალკეული მეურნეობები, რომელთა შემოსავალი ამ დარგიდან 80-90 პროცენტს აღემატება. ასეთი მეურნეობებიდან ავტორს მაგალითისათვის მოჰყავს გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის შემოსავალმა მევენახეობიდან 2,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობისამ — 3 მილიონს, თელავის რაიონის კოლმეურნეობების „ყურძენ-თავთავისა“ და „მოწინავის“ შემოსავალმა თვითეულისამ — 2,5 მილიონს და სხვ.

ეს კარგია, მაგრამ ჩვენი აზრით ცუდი არ იქნებოდა, რომ ავტორს ამასთან ერთად დაესახელებინა მევენახეობის ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მევენახეობის რაიონების განხილვის დროს ავტორი აგვიწერს ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებს (სითბო, ნალექები, ქარები, ნიადაგები და სხვ.). აქვე ლაპარაკია იმ რაიონებზე, სადაც ამზადებენ სუფრის ყურძენსა და სხვადასხვა ტიპის ღვინოებს (სუფრის, შემაგრებული, ბუნებრივი ტკბილი, შამპანური და სხვ.). ეს კარგია, მით უმეტეს, რომ მევენახეს წინასწარ ორიენტაციას აძლევს ჯიშების შესარჩევად.

მოყვანილ სხვადასხვა ცხრილებს შორის საინტერესოა ცხრილი მეხუთე (გვ. 58), რომელშიც მოცემულია ვენახის ფართობის რაოდენობა ერთ კომლზე და სოფლის მოსახლეობის ერთ შრომისუნარიან ადამიანზე. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ვენახებს არასაკმარისი ფართობები უჭირავს. მართლაც მევენახეობის ძირითად რაიონებშიც კი საშუალოდ ერთ კომლზე 1.000-2.000 კვადრატული მეტრი ვენახი მოდის, უმრავლეს რაიონებში კი — თვითეულ კომლზე მხოლოდ რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი, რაც ძალიან მცირეა ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, მით უმეტეს, რომ საქართველოში მევენახეობას ოდითვე მისდევდნენ და მას ამჟამად განვითარების დიდად ხელსაყრელი პირობები აქვს. ეს იმასაც მოწმობს, რომ ახალი საბრძოლო დავალება მეექვსე ხუთწლედში 23.000 ჰექტარი ვენახის გაშენების შესახებ, სავსებით რეალურია.

წიგნში განხილულია ის ძირითადი ღონისძიებები, რომლების გამოყენება შეუძლია მევენახეობაში ყველა მომუშავეს, მოყვანილია მოწინავე მეურნეობები და მათ მიერ უხვი მოსავლის მოსაყვანად გამოყენებული ზოგიერთი საშუალება. მაგრამ მასში შედარებით მკრთალად, არასრულად არის გაშუქებული გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის, ყვარლის რაიონის სოფელ ბალოჯიანის კოლმეურნეობების, გუდაუთის რაიონის ბომბორის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილება, რომლებსაც ჰექტარზე 150-250 ცენტნერი ყურძენი მოჰყავთ.

ნაშრომში არასაკმარისად არის გაშუქებული ყურძნის და ღვინის თვითღირებულებისა და ტექნოლოგიის საკითხები. სასურველი იყო ავტორს უფრო ფართოდ გაეშუქებინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქმიანობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყურძნის მოსავლიანობის ამაღლებაში და ზოგიერთი ახალი ტიპის ღვინის ტექნოლოგიის დადგენაში.

წიგნში არის კორექტურული და სხვა სახის შეცდომები, რაც ზოგიერთ გაუგებრობას ბადებს. მაგალითად, წერია შემოსავალი ნაცვლად მოსავლისა, პირისხვევი ნაცვლად კისისხვევისა, პუნქტები ნაცვლად პუნქტისა.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ი. რცხილაძის ნაშრომი „საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა“ სასარგებლო წიგნია. იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევს კოლმეურნეებს, სპეციალისტებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და ყველა მეღვინეს პრაქტიკულ მუშაობაში.

ს. ლომაკაცი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკიდან

სწავლობენ საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკას

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ დაიწყებოდა სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის ბიურომ კომუნისტმა გამოიჩინა განსაკუთრებული ინტერესი ეკონომიკის საკითხებისადმი. როდესაც გასულ ზაფხულში პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება მიმდინარეობდა, საზღვაო ტრანსპორტის ეკონომიკის საკითხების შემსწავლელ სემინარში ჩაეწერა ნავსადგურის პარტიული ორგანიზაციის წევრთა თითქმის ნახევარი.

სემინარულ მეცადინეობაზე პირველი თემა იყო: „საზღვაო ტრანსპორტი და მისი როლი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“. ამ თემის მომზადებას ჩვენ თითქმის ერთი თვე მოვანდომეთ. მე წავიკითხე შესავალი ლექცია, მსმენელებს გავაცანი სემინარის მუშაობის დაწვრილებითი გეგმა; მათ მიეთითათ თუ რა საკითხებს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რა ლიტერატურით უნდა ისარგებლონ და სხვ.

აღნიშნულ თემაზე გამოყოფილ იქნა ორი მომხსენებელი, რომლებსაც მიეცათ სათანადო რჩევა-დარიგება თუ რა საკითხებზე შეჩერებულიყვნენ. ამ თემაზე სემინარის მომზადების პროცესში ამხანაგებს სისტემატურად ვუტარებდი კონსულტაციებს. დადგა სემინარის მეცადინეობის დღე. დანიშნულ დროს მსმენელები უკლებლივ შეიკრიბნენ პოლიტგანათლების კაბინეტში. აქ მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი იყო თვალსაჩინოების საშუალებანი, რუკები, დიაგრამები, სქემები, პლაკატები, რომლებიც მათ გამოიყენეს.

მომხსენებელმა — ნავსადგურის სასაწყობო მეურნეობის გამგემ ამხ. ა. კვანტალიანმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ წლებში დიდი ლენინი მიგვითითებდა ტრანსპორტის უდიდეს მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

მომხსენებელი იყენებს რუკას — „საბჭოთა კავშირის რკინიგზათა ქსელი“ და მოჰყავს საინტერესო მაგალითები, ლაპარაკობს, რომ ჭიათურიდან მარგანეცის გადაზიდვა დონბასში ხდება რკინიგზით, აგრეთვე შერეულად — რკინიგზითაც და საზღვაო გზებითაც. იგი კონკრეტული მაგალითებით ამტკიცებს, რომ საზღვაო გზით მარგანეცის გადაზიდვა თითქმის ერთიორად ამცირებს ტვირთის დაყოვნებას. ასეულ ათასობით ტონა ტვირთი ყოველწლიურად იგზავნება ფოთიდან საზღვაო გზით ქ. ოდესაში. შავი ზღვის მეზღვაურები, რომლებიც ეზიდებიან ჭიათურის მარგანეცს უკრაინელი მეტალურგებისათვის, სახელმწიფოს ყოველწლიურად უზოგავენ ათეულ მილიონობით მანეთს.

მეორე მომხსენებლად გამოვიდა სატვირთო უბნის დისპეტჩერი, პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე ი. ხარებინი. მან მოამზადა მეტად საინტერესო მასალა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესახებ ტრანსპორტის საკითხებზე.

როცა მოხსენებები დამთავრდა, მსმენელებმა დააყენეს ბევრი საკითხი მოხსენებებში განვითარებულ ცალკეულ დებულებათა დაზუსტებისა და გაშლის მიზნით. შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კატერის კაპიტანმა გ. ბავრომ მოიყვანა საინტერესო ისტორიული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იქნა ათვისებული ჩრდილოეთის საზღვაო გზა და ხაზგასმით აღნიშნა რუსი მეზღვაურების პრიორიტეტი ამ საქმეში. ნავსადგურის მექანიზატორმა ზ. ნიკოლაშვილმა კონკრეტული მაგალითებით დაამტკიცა, თუ რამდენად უფრო იაფი ჯდება ტვირთის გადაზიდვა ზღვით შორ მანძილზე ყველა სხვა სახის ტრანსპორტთან შედარებით.

ნავსადგურის პარტორგანიზაციის მდივანმა ფ. დომორაცკიმ მოხსენებები შეავსო სკკპ XX ყრილობის მასალებით და შეჩერდა იმაზე, თუ როგორ იმუშავა ჩვენმა ნავსადგურმა მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს.

— ჩვენი კოლექტივის მთავარი ამოცანაა, — თქვა ამხ. დომორაცკიმ, — შეასრულოს წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ნავსადგურის მეზღვაურებმა არც თუ ცუდად შეასრულეს ეს დავალება — საზაფხულო ნაოსნობის პერიოდში მათ მგზავრების გადაყვანის წლიური გეგმა შეასრულეს 117 პროცენტით, მგზავრმილთა რაოდენობისა — 122 პროცენტით, მაგრამ სატვირთო სამუშაოების 10 თვის გეგმა ჩვენ მხოლოდ 97 პროცენტით შევასრულეთ.

თუ მოვახდენთ ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას, თუ მივიზიდავთ ტვირთებს ზღვაში აფხაზეთის რაიონებიდან, ცალკეული კოლმეურნეობებიდან და კოლექტივებიდან, თუ გავაუმჯობესებთ საქმიან კავშირს ჩვენს ფოთელ მეზობლებთან, შეგვეძლება მთლიანად და გადაჭარბებითაც შევასრულოთ საგეგმო დავალება.

სემინარის შემდგომ მეცადინეობაზე დამუშავდა თემა — „შრომის ნაყოფიერება და მისი ამაღლების გზები საზღვაო ტრანსპორტზე“. მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის წევრები: მენიხრე პ. კლემნიუკი, კატერის კაპიტანი ი. ცარუკოვი და ნავსადგურის მთავარი დისპეტჩერი ნ. არჩაია. მომხსენებლებს საფუძვლიანად ჰქონდათ მომზადებული საკითხის თეორიული ნაწილი. მათ მოჰყავდათ ბევრი მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ნავსადგურის გემსარემონტო სახელოსნოები, სატვირთო უბანი და სამშენებლო-სარემონტო ჯგუფები.

მოხსენებები თავიანთი გამოსვლებით შეავსეს სხვა ამხანაგებმა. მათ ილაპარაკეს მტვირთავთა შრომის პროგრესული ანაზღაურების დიდ მნიშვნელობაზე შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. ჯგუფის მექანიკოსმა ამხ. გიცაბამ აღნიშნა, რომ ჩვენში მნიშვნელოვნად გაიზარდა მტვირთავთა ხელფასი, რომ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად კიდევ არის დიდი რეზერვები.

— საჭიროა მოხდეს, — თქვა ამხ. გიცაბამ, — მტვირთავთა მძიმე სამუშაოების, განსაკუთრებით ტრიუმებსა და საწყობში სატვირთო ოპერაციების შემდგომი მექანიზაცია. თუ ყოველივეს გავიზიარებთ სატვირთო სამუშაოთა ტექნოლოგიას, შეგისწავლით მოწინავეთა გამოცდილებას და დავნერგავთ მექანიზაციას, კიდევ უკეთეს შედეგებს მივაღწევთ.

სემინარის მეცადინეობაზე ნავსადგურის სასაწყობო მეურნეობის გამგემ ამხ. ა. კვანტალიანმა დააყენა საინტერესო საკითხი: გავათავისუფლოთ საწყობები ადგილობრივი მოიჯარეებისაგან და დავიწყოთ გადამუშავება ტვირთებისა, რომლებიც ზღვიდან რკინიგზაზე უნდა გადაიზიდოს, რაც ნავსადგურს საშუალებას მისცემს რეგულარულად შეასრულოს თვიური გეგმები და მნიშვნელოვნად გაადიდოს სატვირთო სამუშაოთა რენტაბელობა. ამ წინადადებას ადმინისტრაცია უკვე ახორციელებს.

მთავარმა დისპეტჩერმა ნ. არჩაიამ, რომელმაც შეისწავლა შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხი, წამოაყენა წინადადება მტვირთავები და ავტომანქანები ზამთრის პერიოდში, როდესაც თბომავლების რიცხვი შემცირდა, გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დავამზადოთ ხრეში, ქვიშა და სხვა ინერტული ტვირთები და გავგზავნოთ ისინი ზღვით მეზობელ ფოთის ნავსადგურში. ახლა ეს ღონისძიებაც ხორციელდება.

ნავსადგურის პარტიულმა ბიურომ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გადაწყვიტა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის შემდგომ მეცადინეობაზე მოიწვიოს ნავსადგურის ხელმძღვანელები: განყოფილებების გამგეები, სამუშაოთა მწარმოებლები, აგრეთვე გემების კაპიტნები და მექანიკოსები.

ასე მომზადებულად, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში ტარდება ყოველი მეცადინეობა ჩვენთან, რაც ზრდის ამხანაგების სამეურნეო და პოლიტიკურ აქტივობას.

კ. ვზოლროვი,
საზღვაო ტრანსპორტის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელი.

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ზეიმი



ბათუმის სახელმწიფო თეატრის შენობა.

ლენინი და ოქტომბერი

არის სოფელი სამხრეთის მთაზე,
სადაც შარაგზა გაიყვანეს ათი წლის წინათ.
აქ უზამთრობა ახარებს ვაზებს,
მაღლა კი მარად მყინვარი ბრწყინავს.
არის სოფელი სამხრეთის მთაზე...
და ერთწელ, როცა იყო ყამი სიმინდის ტეხის,
მამა გლეხურად ილხენდა იქა,
თქვა მოვიდაო ოქტომბერი,
დაკრიფა ლეღვი
და სავსე გოდრით მეზობლებში ჩამოარიგა.
თქვა მოვიდაო ოქტომბერი...
პურები დაცხვა, მამალი დაკლეს,
ცეცხლზე ქვაბები დაადგეს ბევრი,
თან ყვავილები დაჰკიდეს სახლებს.
და ყველამ ღია დატოვა კარი,
სტუმარს ელოდა იქ ყველაფერი
და ვკითხე მამას — ერთი მითხარი
ვინ არის მეთქი ეს ოქტომბერი?
მან მოწიწებით ფარდა გასწია
და ჩამოიღო თაროზე რომ სურათი იდო,
შევხედე, — ისიც მუშაკაცია,
როგორიც ჩემი მამაა თვითონ.
ის იღიმოდა, ის ამბობდა,
ის ხელს მიწვდიდა,
იგი პირდაპირ მიწაზე იდგა,
ცალ ხელში ქუდი ჩაეხლუჯა ნაკეცი სამად,
ქუდი, როგორიც ეხურა მამას.
მას შემდეგ მტკვარში ჩაიარა რამდენმა წყალმა,
რამდენჯერ ბაღმა იცვალა ფერი,
მე კი, ვით მამას,
მჯერა — ერთი სიცოცხლე არი
თვითონ ლენინი და ოქტომბერი.

ფრიდონ ხალვაში.

რით მოვდივართ დეკადაზე

ბათუმის სახელმწიფო თეატრი

ბათუმის თეატრის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადებოდა დეკადისათვის. სპექტაკლებიდან, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა ჩვენს თეატრში, შევარჩიეთ ხუთი წარმოდგენა — უილიამ შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“, სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“, ა. შტეინის პიესა „პერსონალური საქმე“, ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“ და პ. ლორიას პიესა „დინარა“.

უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ დადგმა ეკუთვნით ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს ა. ჩხარტიშვილსა და შ. ინასარიძეს, მხატვრულად გააფორმა გ. ცინტერაძემ, კომპოზიტორია ი. გეჯაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ ჩვენი თეატრის საუკეთესო ძალები. ჰამლეტის როლს ასრულებს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე.

მეორე სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე“ თბილისელმა მაყურებელმა რამდენიმე წლის წინათ ნახა. ამჟამადაც ოიდიპოსის როლს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორები არიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. ჩხარტიშვილი და შ. ინასარიძე.

ორი სპექტაკლი „მაია წყნეთელი“ და „დინარა“ თბილისელ მაყურებელს გააცნობს არა მარტო ბათუმის სახელმწიფო თეატრისა და მისი კოლექტივის, არამედ აგრეთვე აჭარაში მომუშავე ქართველი მწერლების შემოქმედებას.

სიხარულით და სიამაყის გრძნობით გამოვალთ თბილისელი მაყურებლის წინაშე და დარწმუნებული ვართ, რომ დედაქალაქის მომთხოვნი და დიდი მხატვრული გემოვნების მქონე მაყურებლის ყოველი საქმიანი შენიშვნა დაგვეხმარება შემოქმედებითი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

შ. ღლონტი,
ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

თბილისელ მაყურებელს რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე ბევრჯერ უნახავს და მოუსმენია აჭარის ხალხური ცეკვები და სიმღერები. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვანი რეპერტუარით. ამ რეპერტუარიდან დეკადისათვის შევარჩიეთ საუკეთესო სიმღერები, ცეკვები.

გარდა ხალხური სიმღერებისა და ცეკვებისა, როგორიც არის შვიდკაცა, ხორუმი, დავლური, გადახვეული ხორუმი და სხვ., ანსამბლი მაყურებელს მოასმენინებს აჭარაში მომუშავე ქართველი მწერლების ტექსტებზე დაწერილ ახალ სიმღერებს.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ რეპერტუარის გამდიდრებას. ანსამბლი დეკადაზე მაყურებელს უჩვენებს და მოასმენინებს რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ჩეხურ და რუმინულ ცეკვებსა და სიმღერებს.

აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ფ. კობალაძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. ლუკაშვილი, თ. მიქელაძე, გ. გაბისონია და მთელი რიგი სხვა ნიჭიერი მომღერლები და მოცეკვავეები.

ყველაზე პირუთვნელი და სამართლიანი მსაჯი ჩვენი ანსამბლის შემოქმედებითი წარმატებისა იქნება თბილისელი მაყურებელი, რომლის წინაშე ამ დღეებში წარვსდგებით.

ჩვენი მიზანია წარმატებით ჩავაბაროთ ეს მეტად პასუხსაგები გამოცდა.

მ. ჩხიკვიშვილი,
ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი.

სოციალისტური კულტურის მიღწევების დემონსტრაცია

12 იანვარს თბილისში იხსნება აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენაა აჭარის ასსრ სოციალისტური კულტურის განვითარების ისტორიაში.

აჭარა — საქართველოს ეს განუყოფელი ნაწილი — სამი საუკუნის განმავლობაში იმყოფებოდა თურქ დამპყრობთა უღელქვეშ. თურქი დამპყრობლები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ აჭარის მშრომელებს, აჩანაგებდნენ სოფლებს, ანგრევდნენ ქართული კულტურის ისტორიულ ძეგლებს, უკრძალავდნენ მოსახლეობას მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკს და სხვ. ამით ისინი ცდილობდნენ აჭარაში ქართული კულტურის მოსპობას და მოსახლეობაში ეროვნული გრძნობების ჩაკვლას.

მართალია, თურქმა დამპყრობლებმა დიდი ზიანი მიაყენეს აჭარის მეურნეობასა და კულტურას, მაგრამ მათ საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. აჭარის მშრომელებმა შეინარჩუნეს ქართული ეროვნული ზნე-ჩვეულებანი. არ დაივიწყეს დედაენა, მათ არასოდეს არ შეუნელებიათ ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ და ყოველთვის ისწრაფოდნენ თავიანთი დიდი სამშობლოსთან — საქართველოსთან შეერთებისაკენ.

1878 წელს აჭარის მშრომელთა ეს მისწრაფება განხორციელდა. დიდი რუსი ხალხის დახმარებით აჭარა შეუერთდა საქართველოს. ამ ამბავმა აღაფრთოვანა მთელი ქართველი ხალხი. დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ილია ჭავჭავაძე საქართველოსთან აჭარის შეერთების შესახებ წერდა:

„ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო— დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

მართალია, ეს შემოერთება დიდ პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ ცარიზმის ბატონობა აბრკოლებდა აჭარაში მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. ცარიზმის დამხობის შემდეგ, მეწოვნეკების ბატონობის წლებში, აჭარაში თარეშობდნენ თურქი და ინგლისელი ინტერვენტები. ამ პერიოდში არათუ არ ამაღლდა, არამედ უფრო დაეცა აჭარის მეურნეობა და კულტურა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ხალხების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით ქართველი ხალხის ერთიან ოჯახში დაიწყო, აყვავდა და აღორძინდა აჭარაში მრეწველობა, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა და კულტურა, მშრომელებს დაუმკვიდრდა ბედნიერი ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად ამაღლდა აჭარის მშრომელთა კულტურული დონე. დიდი ხანია მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა. ამჟამად აჭარაში 383 დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლა, 10 საშუალო სპეციალური სასწავლებელი და ერთი პედაგოგიური ინსტიტუტია, რომლებშიც 44 ათასზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი სწავლობს. მარტო შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე 3.500-ზე მეტი პედაგოგი გამოუშვა. ასევე გაიზარდა ადგილობრივი კადრების მომზადება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მუსიკალური და სახვითი ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აჭარაში არსებული ერთი სამუსიკო სასწავლებელი, ორი სამუსიკო და ერთი სამხატვრო სკოლა, სადაც 650-ზე მეტი მოსწავლეა.

დ. მამულაძე,
საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

აჭარაში მუშაობს რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობაში იბეჭდება ბევრი მხატვრული, პოლიტიკური, საოფლო-სამეურნეო და სხვა ხასიათის წიგნები, რომლებიც უმთავრესად ადგილობრივ ავტორებს ეკუთვნის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე აჭარაში გამოიცა 415 სახელწოდების წიგნი ერთ მილიონ ეგზემპლარზე მეტი ტირაჟით.

აჭარაში ბევრი კეთილმოწყობილი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესდა მოსახლეობის კულტურული მომსახურება, გაიზარდა მაყურებელთა რიცხვი თეატრებსა და კინოში.

ქ. თბილისში აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, თვითმოქმედი კოლექტივები, მწერლები და მხატვრები.

თავისი არსებობის მანძილზე ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა ბევრი საინტერესო დადგმა. ახლა კი დეკადაზე იგი წარსდგება ხუთი სპექტაკლით, რომლებშიც მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ი. კობალაძე და მ. ხინიკაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. თეთრაძე, ა. მგელაძე, ხ. მეგრელიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები ლ. გურგენიძე, პ. ინწკირველი, გ. ახვლედიანი და გ. იმნაიშვილი, აგრეთვე ბევრი ახალგაზრდა მსახიობი.

ახალი პროგრამით წარსდგება თბილისელი მაყურებლის წინაშე აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც სხვა სიმღერებთან ერთად შეასრულებს კომპოზიტორ შ. მილორავას მიერ პოეტების გ. სალუქვაძის და ფ. ხალვაშის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს თბილისზე და აჭარაზე, კომპოზიტორ რ. ლადაძის მიერ დაწერილ ახალ სიმღერას პარტიაზე, კომპოზიტორ ბ. კვირნაძის სიმღერას შვიდობაზე და სხვ. დეკადაზე ნაჩვენები იქნება აგრეთვე ბევრი ახალი ცეკვა, რომლებიც დადგეს აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტებმა ე. ხაბაძემ, ა. ჯიჯეიშვილმა და ბალეტმეისტერმა გ. ოდიკაძემ.

იმ კულტურულ წინსვლაში, რასაც აჭარამ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თვალსაჩინო როლი შეასრულა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილებამ, რომელიც აერთიანებს 15 მწერალს და ბევრ ახალგაზრდა ლიტერატორს. დეკადაზე წარმოდგენილი იქნება ჩვენი მწერლების შემოქმედება — პროზა, პოეზია, დრამატურგია და ლიტერატურული კრიტიკა.

დეკადაზე მოეწყობა ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და დეკორაციული ხელოვნების 100-ზე მეტი ნაწარმოების გამოფენა. წარმოდგენილი იქნება მხატვარ შ. ხოლუაშვილის მიერ შესრულებული გამოჩენილ მოღვაწეთა რამდენიმე პორტრეტი და ეტიუდი. მხატვრები შ. ზამთარაძე, გ. მეგრელიძე, გ. ხეჩინაანი და სხვები წარმოადგენენ სურათებს, პეიზაჟებს და ეტიუდებს აჭარის მშრომელთა ცხოვრების თემებზე, ხოლო მხატვრები დ. იმნაიშვილი და ა. მესხი— გრაფიკულ ნამუშევართა სერიებს. მოქანდაკე მ. ბოლქვაძე დეკადაზე წარსდგება ახალი ნაწარმოებით — „ვ. ი. ლენინი“ (ბარელიეფი), ხოლო ტ. ჭანტურია — ძველი რევოლუციონერის კ. კარპოვის სკულპტურული პორტრეტით და სხვა ნამუშევრებით.

ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივებისათვის აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა თბილისში არა მარტო ზეიმია, არამედ ხერიოზული გამოცდაც არის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილეს. ეს ნაკლი მთლიანად შეეხება აჭარის შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობას.

ჩვენი ზოგიერთი მწერალი ჯერ კიდევ ვალშია მკითხველთა წინაშე. მათ ვერ შექმნეს სრულყოფილი ნაწარმოებები მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციისა და ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ცხოვრებაზე. ხერხიზული ჩამორჩენაა დრამატურგიაშიც. ზოგიერთი პიესა სუსტია, სრულად ვერ ასახავს თანამედროვე ცხოვრებას, ვერ აკმაყოფილებს მაყურებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. სუსტია მხატვართა შემოქმედებითი აქტივობა. მათ ნაწარმოებებში ნაკლებად ჰპოვა ასახვა ჩვენმა სოციალისტურმა ქალაქმა და სოფელმა, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე მოწინავე ადამიანთა საქმიანობამ.

ბევრი ნაკლია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში, განსაკუთრებით სოფლად. თვითმოქმედი წრეების მუშაობაში ნაკლებად მონაწილეობენ მშრომელთა ფართო მასები. ზოგიერთი კულტურის სახლი, კლუბი და ბიბლიოთეკა საკმაო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას არ აწარმოებს მოსახლეობაში, არ ეწევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

ეს ნაკლოვანებები, რა თქმა უნდა, უფრო მცირე იქნებოდა, პარტიული ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად რომ ხელმძღვანელობდნენ შემოქმედებითი ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას, დროულად რომ სახავდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მათს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ღონისძიებანი ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში არსებული ჩამორჩენის დაძლევისა და საბჭოთა კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ყრილობამ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მშრომელთა და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის მიზნით, უფრო სრულად და აქტიურად გამოიყენონ იდეური აღზრდის ყველა საშუალება — პროპაგანდა, აგიტაცია, პრესა, რადიო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება.

იდეოლოგიური მუშაობის დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს პარტიულ ორგანიზაციებს, მწერლებს, მხატვრებს, ხელოვნების და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაკებს.

ეჭვი არ აარის, რომ აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა თბილისში ხელს შეუწყობს აჭარაში კულტურის ყველა დარგის წინსვლას, არსებული ნაკლოვანებების მხილებასა და დაძლევას. აჭარის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს აჭარაში ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომი მძლავრი განვითარება.

აჭარაში მომუშავე ქართველი მწერლების უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნების ყდები.

ბათუმიდან თბილისამდე

ამ სვლას ფრენას ადარებენ,
დაგადუგი ადის ცამდე,
ჩვენ მოვყვებით მატარებელს
ბათუმიდან თბილისამდე.

მოვყვებით და სანამ მთები
ბარს სხივებით შემოსავდნენ,
— რით მიდიხართ, რა გაქვთ, რა გაქვთ?
რით მოდიხართ, რა გაქვთ, რა გაქვთ?
მოგრიალე რკინის თვლები
მოგვძახიან ჩამოსვლამდე.

რა გვაქვს?
მზით და სიმღერებით
მთა სავსე და ბარი სავსე,
ლაღი შრომის სიხარული
ყველა ცვრიან გარიჟრაჟზე.

სიტყვა ძმური,
საქმე ძმური,
მზის სიცილი ზღვისფერ ცაზე,
ქარხანა და ელსადგური
მოგუგუნე უწყვეტ ცელაზე.

რა გვაქვს?
ციცქა და ჩხავერი,
ნარინჯები ხვავით სავსე,
ცხრა მთის კალთა
და ცხრა ველი
ჩაის მწვანე ხალიჩაზე.

ნახატი და წიგნი მოგვაქვს,
ყვავილების ფერით სავსე,
ხელოვანთა სიტყვა მოგვაქვს,
მისი შნო და სილამაზე.

ჩვენ იმ თასით ლექსი მოგვაქვს,
რითაც წინათ ნაღველს სვამდნენ,
პირნათელი ქალი მოგვყავს,
წინათ ჩადრით რომ მოსავდნენ.

ჩვენ სალამი მოგვაქვს წრფელი
და მადლობით გული სავსე,
რომ პარტიის ზრუნვამ მოგვცა
ნათელ დღეთა სიკისკასე,

რომ ოქტომბრის მზეა დიდი
ჩვენს კრიალა ქართულ ცაზე,
რომ აჭარაც მტკიცედ მიდის
კომუნიზმის ფართო გზაზე.

ნესტორ მალაზონია.

შემოქმედებითი აღმავლობის გზით

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბათუმში მუშაობდა და მოღვაწეობდა ბევრი შესანიშნავი მწერალი, მათ შორის დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი და სხვები. მათ შეაჩნეს დემოკრატიული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, რომლებმაც ხელი შეუწყო ლიტერატურის განვითარებას აჭარაში. მიუხედავად ამისა, აჭარა და მისი ცხოვრება ქართულ ლიტერატურაში ძალიან მკრთალად ჩანდა. და აი აჭარაში მომუშავე საბჭოთა მწერლებმა ამოცანად დაისახეს ერთი მხრივ შეენარჩუნებინათ და გაემრავლებინათ უველაფერი საუკეთესო, რაც ძველ, რევოლუციამდელ თაობის მწერლებმა შექმნეს, ხოლო მეორე მხრივ ფართოდ აესახათ საბჭოთა აჭარის, მისი სახელოვანი მშრომელების გმირული ცხოვრება.

ამავე დროს აჭარის მწერლები როდი იფარგლებიან მხოლოდ თავიანთი მხარით, როდი კმაყოფილდებიან მარტოოდენ აჭარის ცხოვრების ასახვით. მაგალითად, პარმენ ლორიამ დაწერა რომანი „ბალადა ორ ბაზაზე“, რომელშიც გვიჩვენა ჭითურელ მაღარიელთა ცხოვრება. მშვენიერი ლექსები გამოაქვეყნა პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა მოსკოვზე, შუა აზიაზე. უკრაინელი ხალხის გმირულ შრომასა და ბრძოლას მიუძღვნა თავისი ერთ-ერთი პიესა „კრავჩუკის ცრემლები“ დრამატურგმა ამირან შერვაშიძემ. ომის ამერიკელი ვეტერანის გაუხარელი ყოფა ასახა ახალგაზრდა პროზაიკოსმა ალ. ჩხაიძემ მოთხრობაში „თვალახელილი“.

და მაინც აჭარა და მისი ცხოვრება მთავარი და წამყვანია ჩვენი მწერლების შემოქმედებაში. ამის მეოხებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ის ხარვეზი, რომელიც რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში იგრძნობოდა. მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში ფართოდ იყო წარმოდგენილი კახეთი, ქართლი, იმერეთი, მთა, საქართველოს სხვა კუთხეები, მაგრამ ძლიერ მკრთალად ჩანდა აჭარა. მართალია, ამ ნაკლის შევსება სცადა ალ. ყაზბეგმა, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა როგორც მოთხრობა „დურსუნ ბეგ ქობულეთელი“, ისე პიესაც ამავე სახელწოდებით. როგორც ნაწყვეტებიდან ჩანს, ალ. ყაზბეგს სურდა ეჩვენებინა, თუ როგორ იბრძოდნენ აჭარის მშრომელები თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ჩვენს დროში აჭარის ცხოვრებას სერიოზული ყურადღება დაუთმეს ცნობილმა ქართველმა მწერლებმა ვ. ბარნოვმა, დ. შენგელაიამ, პ. ჩხეიძემ, კ. კალაძემ, რ. გვეტაძემ და სხვ.

ამ მხრივ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურაში მწერალმა პარმენ ლორიამ. მისი ისეთი პოპულარული რომანები, როგორიც არის „შევლუდ“, „ჩაი“, „განთიადი ხევში“ და სხვ., ფართოდ ასახავენ აჭარის ცხოვრებას როგორც რევოლუციამდე, ისე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში და შემდგომ პერიოდში. მწერლის უდავოდ სერიოზული გამარჯვებაა რომანი „განთიადი ხევში“. ამ ნაწარმოების გმირებმა ანდრო ბრეგაძემ და მურად ოდილაძემ სამართლიანად დაიკავეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ქართველი საბჭოთა მწერლების მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა გალერიაში.

პარმენ ლორიასთან ერთად ამ საქმეში ღირსეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე უფროსი თაობის პოეტებმა ნესტორ მალაზონიამ და პარმენ რურუამ. აჭარაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა ასახა, მაგალითად, თავის ერთ-ერთ საუკეთესო პოემა „გულზარში“ ნესტორ მალაზონიამ. პოეტი გვიჩვენებს, თუ რა თავდადებით იბრძოდნენ აჭარის მშრომელები მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ახალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ზოგიერთი სიახლე შეიტანეს აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებაში მომდევნო თაობის მწერლებმა და პოეტებმა ფრიდონ ხალვაშმა, მამია ვარშანიძემ, ნანა გვარიშვილმა, გიორგი სალუქვაძემ, კაპიტონ რუსიძემ და სხვ. მათ იგი გამდიდრეს არა მარტო შინაარსობრივად, არამედ გამოსახვის თვისებური ხერხებითაც.

უპირველეს ყოვლისა აქტუალური პოლიტიკური საკითხები იზიდავს ფრიდონ ხალვაშს. იგი ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას და ცდილობს თავის შემოქმედებაში ასახოს თანამედროვეობა, მკაფიოდ გამოთქვას საკუთარი აზრი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ამით აიხსნება, რომ მისი პირველი ლექსი „ისრაფილ ჯინჯარაძე“ გამოქვეყნებისთანავე სიმღერად იქცა. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა პოეტის ინდივიდუალობა ისეთ პოპულარულ ლექსებში, როგორიც არის „ბალადა ორ ბაზაზე“, „მოსკოვი“, „თერგი“ და სხვ. ნაზი ლირიზმით გამოირჩევა პირველი აჭარელი პოეტი ქალის ნანა გვარიშვილის ლექსები. მისი ძირითადი თემაა ქალის ხვედრი წინათ და ახლა, სიყვარული და მშობლიური ბუნება. პოეტის ლექსები ძირითადად თანამედროვეობას ეხმაურება. ბევრ მოვლენას იგი თავისებურად ალიქვამს, გაურბის დეკლარაციულობას და ცდილობს ყოფითი მასალით გადმოგვცეს ყოველდღიური მოვლენები. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „ჩეკვენე“, რომელიც პოემა მშვიდობას მოუძღვნა.

რამდენიმე რომანისა და მოთხრობის ავტორია მწერალი კაპიტონ რუსიძე. წარმატებებთან ერთად მას ჰქონდა სერიოზული ჩავარდნები და ნაკლოვანებები, მაგრამ ამ ბოლო დროს მწერალმა ნაწილობრივ დაძლია ისინი. ამას მოწმობს მისი ახალი რომანი „მოუსვენარი ადამიანები“. ამ ნაწარმოებში მწერალმა შეძლო გამოეკვეთა მთელი რიგი საინტერესო ხასიათები.

აჭარის მწერალთა შემოქმედების ძირითადი თემაა თანამედროვეობა, საბჭოთა სინამდვილე. ისინი ცდილობენ საქმიანად გამოეხმაურონ მოვლენებს, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი. ისეა არა მარტო პროზასა და პოეზიაში, არამედ დრამატურგიასა და საბავშვო ლიტერატურაშიც. მაგალითად, პარმენ ლორიამ ახლახან დაწერა პიესა „დინარა“, რომელშიც გვიჩვენა ზოგიერთი ადამიანის შენიშვნაში შემორჩენილი ძველი, დროებულნი გადმონაშთების დაძლევის პროცესი. ეს პიესა დადგა ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა და თბილისელ მაყურებელს უჩვენებს დეკადის დღეებში. არსებითად ამავე თემას ეხება დრამატურგ ამირან შერვაშიძის კომედია „პროვინციელიც“. ავტორმა მიზნად დაისახა ეჩვენებინა, თუ როგორ წავიდა წინ საკოლმეურნეო სოფელი და რა ყალბი წარმოდგენა აქვთ მასზე დიდი ქალაქის ზოგიერთ ჩამორჩენილ ოჯახში. თავისი იდეური მიზანდასახულობით ამ პიესას უთუოდ აქვს სერიოზული აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

აჭარაში ყველაზე ახალგაზრდაა საბავშვო ლიტერატურა. მიუხედავად ამისა, უკვე შექმნა მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები, რომლებიც გამოირჩევა არა მარტო იდეური გამართულობით, არამედ საკმაოდ მაღალი მხატვრული დონითაც. ნესტორ მალაზონიას მიერ ლექსად დაწერილ საბავშვო ზღაპარ „ჯიაკოკონას“ ტექსტზე შუსი.ა დაწერა კომპოზიტორმა ალ. ფარცხალაძემ და წარმატებით დაიდგა ქართულ და რუსულ ენებზე ფალაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სკოლაში. პოპულარობით სარგებლობს ნანა გვარიშვილის საბავშვო ლექსები, უპირატესად ზღაპრები. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ამ დარგში პოეტი გიორგი სალუქვაძე. მის საბავშვო ლექსებს ახასიათებს უშუალობა, გულწრფელობა, მხატვრული სიმართლე, მაღალი პროფესიული დონე. გიორგი სალუქვაძე კარგი მთარგმნელიც არის. ამ რამდენიმე დღის წინათ გამოვიდა ცნობილი რუსი საბავშვო პოეტის ა. ბარტოს ლექსები, რომლებიც ქართულად თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.

ამ ბოლო წლებში აღიზარდნენ აგრეთვე ლიტერატორთა ახალგაზრდა კადრები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან პროზაიკოსები ი. რურუა, ალ. ჩხაიძე, პოეტი შ. როყვა და სხვ. ქანრობრივად ი. რურუამ აირჩია მინიატიურული მოთხრობა. ბევრმა მათგანმა მიიქცია მკითხველის ყურადღება იდეის გამოკვეთილობით, თხრობის ლაკონიურობითა და უშუალობით. ალ. ჩხაიძეს ეკუთვნის მოთხრობების კრებული „ზღვისპირა ქალაქში“, რომელსაც წარმატება ხვდა. ამ უკანასკნელად მან კალამი სცადა აგრეთვე სატირაში. ბევრი კარგი ლექსის ავტორები არიან შ. როყვა, ჯ. ჯაყელი და სხვ.

აჭარის ლიტერატორთა წარმატებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ, ისინი სულ უფრო მტკიცედ ეუფლებიან სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, ასახავენ ჩვენს გმირულ თანამედროვეობას, საბჭოთა ადამიანების ულამაზეს და უმდიდრეს სამყაროს. ეს კი ამის საამედო საწინდარია, რომ აჭარის ლიტერატურა ახალ თვალსაჩინო წარმატებებს მოიპოვებს იმ საპატიო ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებიც პარტიის XX ისტორიულმა ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რაც თბილისში დაიწყება 12 იანვრიდან, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს შეძენილი გამოცდილების განზოგადებას, ნაკლოვანებათა მხილებას და მძლავრ სტიმულს მისცემს ლიტერატურის ახალ აღმავლობას აჭარაში.

შ. ძურაიძე.

აჭარაში მომუშავე ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან) პ. ლორია, ნ. მალაზონია, პ. რურუა, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე და გ. სალუქვაძე.

საერთაშორისო თემაზე

რას გულისხმობს „ეიზენჰაუერის დოქტრინა"?

ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ღონისძიებათა მეოხებით მიღწეულ იქნა საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება. მაგრამ მოვლენათა ასეთი მსვლელობა არ აძლევდა ხელს დასავლეთის სახელმწიფოთა იმ აგრესიულ წრეებს, რომლებიც დაინტერესებული არიან „ცივი ომის" განგრძობით, ხალხთა შორის სიძულვილის გაღვივებით, კაპიტალისტურ მონოპოლიებს სურთ განაგრძონ გამალებული შეიარაღება და ამით მიიღონ ზღაპრული მოგება.

ინგლისელმა, ფრანგმა და ისრაელმა აგრესორებმა ვერაგული თავდასხმა მოახდინეს ეგვიპტეზე, საერთაშორისო იმპერიალიზმის დახმარებით უნგრეთში მოეწყო კონტრრევოლუციური პუტჩი. ამ ამბებმა მკვეთრად გაამძლიერა ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობის ახალი დაძაბულობა.

მაგრამ იმპერიალისტებმა ვერ განახორციელეს თავიანთი გეგმები. მათ ჩაფუშეთ რეგორც ერთი, ისე მეორე ავანტიურა. ჩაიშალა აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო როგორც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ძველი კოლონიური სისტემის რესტავრაციის პროლოგი. მოგერიებული და ლაკადიერებულია იმპერიალისტის იერიში სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის წინააღმდეგ.

იმპერიალისტები ცდილობენ ზარბაზნებისა და ბომბების საშუალებით შეაჩერონ კოლონიური სისტემის რღვევა. მაგრამ კოლონიური დამოკიდებულებისაგან გასთავისუფლებული ხალხები დაადგნენ ეროვნული განვითარების დამოუკიდებელ გზას და მათ სამართლიან ბრძოლას იმპერიალისტთა ხრიკები ვერ შეაჩერებს.

საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება გამოწვეულია აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებით, რომლებიც მიმართავენ ახალ ფართო იერიშებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დაკაბალებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ისწრაფვიან ისარგებლონ ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციების შესუსტებით ამ რაიონში, რათა „დახმარების" ალმით თავს მოახვიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებს კოლონიური დამონების ახალი ფორმები. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერის დოქტრინა", რომელიც ჩამოყალიბებულია ამერიკის პრეზიდენტის მომდინარე წლის 5 იანვრის წერილში კონგრესისადმი.

წერილი იწყება მთელი რიგი შენიშვნებით, რომელთა მიზანია შეარბილოს მკვეთრი აგრესიული ხასიათი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებში იმპერიალისტური ჩარევისა და ამ რაიონში სამხედრო პაქტებ-ტრატატების დამყარების ახლად გამოცხადებული ამერიკული „დოქტრინისა". კერძოდ, წერილი შეიცავს მტკიცებას, რომ საერთაშორისო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების „ძირითად მიზნად" რჩება სამართლიანობაზე დამყარებული მშვიდობა მთელ მსოფლიოში, და რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს მიესალმებოდნენ და ხელს უწყობდნენ უკანასკნელ წლებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩაღებულ მოძრაობას თვითმმართველობისა და დამოუკიდებლობისაკენ. წერილი აგრეთვე შეიცავს მტკიცებას, რომ „არავინ არ გეგმავს გამოიყენოს ახლო აღმოსავლეთი ბაზად რუსეთის წინააღმდეგ აგრესიისათვის" და რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს არასოდეს ერთი წუთითაც არ ჰქონიათ ასეთი აზრი".

წერილი იმის მტკიცებასაც კი შეიცავს, რომ თითქოს ამერიკის პოლიტიკა ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთის „ეროვნულ დამოუკიდებლობას". მსგავსი მტკიცებების საფარქვეშ წერილში შემდეგ გადმოცემულია აშკარა იმპერიალისტური კოლონიალისტური პოლიტიკური ხაზი, რომელიც იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან განახორციელონ „ძალის პოლიტიკა" ამ რაიონში თავისი სამხედრო, ეკონომიური, პოლიტიკური ბატონობის დამყარების მიზნით.

წერილში მოკიმულია სამი პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა. ეს პუნქტები საფუძვლად უნდა დაედოს კონგრესის ორივე პალატის ერთობლივ რეზოლუციას, რომლის მიღებასაც ცდილობს მთავრობა. პროგრამა ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ გამოიყენოს ამერიკის შეიარაღებული ძალები „შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დაცვისათვის", აგრეთვე იმ უფლების მინიჭებას, რომ ამ რაიონში გამოიყენოს „სამხედრო დახმარებისა და თანამშრომლობის პროგრამები".

ითვალისწინებს რა იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ესაჭიროებათ ეკონომიური დახმარება, პროგრამა შეიცავს დაპირებას ამ რაიონის ქვეყნებთან ან ქვეყნების ჯგუფთან „თანამშრომლობისა და დახმარების" შესახებ „მათი ეკონომიკის განვითარებაში". ეს გეგმა ითვალისწინებს 400 მილიონზე მეტი ამერიკული დოლარის ასიგნებას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების „დასახმარებლად".

წერილში დაგმობილი არ არის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, პირიქით ამის უსაფუძვლო მტკიცებაა, რომ არაპროვოცირებულ აგრესიაში, რომელიც ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა წამოიწყეს, თითქოს დამნაშავეა „საერთაშორისო კომუნიზმი".

ამრიგად, წერილი, რომელიც კონგრესში იქნა წაკითხული, არ ტოვებს ეჭვს, რომ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკა იმპერიალისტურ კოლონიზატორულ ხასიათს ატარებს. ამ „დოქტრინის" მიზანია დაეხმაროს ამერიკელ მონოპოლისტებს ხელში ჩაიგდონ საკვანძო პოზიციები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკაში, დაეპატრონონ ამ ქვეყნების ეროვნულ სიმდიდრეს, განსაკუთრებით ნავთობს, რომლის უდიდესი მარაგია ამ ქვეყნებში. ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიური შეჭრა გეგმა მარტო ამ ქვეყნების ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს წინააღმდეგ როდია მიმართული.

საქმე ეხება არაბულ აღმოსავლეთში ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალის პოზიციების ხელში ჩაგდებას, რომლებსაც ძირი გამოეთხარათ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის ჩაფუშვით. „ეიზენჰაუერის სურს შეავსოს ვაკუუმი, რომელიც ბრიტანეთი ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის მოსპობის გამო სუეცზე თავდასხმის შემდეგ", — განმარტავს ამერიკის იუნაიტედ პრესის საგენტო.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი გეგმების მიზნები ახლო აღმოსავლეთში საკმაოდ გასაგებია. მათი მიზანია უნდა ძალის დახმარებით ჩახშონ არაბი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, განაგრძონ ამ ხალხების კოლონიური ექსპლოატაცია.

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ თავიანთი აგრესიული მიზნები ახლო აღმოსავლეთში დაფარონ ზღაპრებით „კომუნისტური საფრთხის" შესახებ. მაგრამ ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ დაძაბული მდგომარეობა ამ რაიონში კოლონიზატორებს მიზნით აღმოცენდა. შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც ფაქტიურად ინგლისელ და ფრანგ აგრესორთა მხარეზე იდგნენ ეს მხარს უჭერდნენ მათს თავდასხმას ეგვიპტეზე. უარი თქვეს სსრ კავშირის იმ წინადადებაზე, რომ ერთობლივად გამოეყენებინათ შეიარაღებული ძალები აგრესიის აღსაკვეთად. ახლა კი, როცა აგრესია შეჩერებულია, შეერთებული შტატები ხმაურს ტეხენ შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე ახლო აღმოსავლეთის „დასაცავად". ამან საბოლოოდ ამხილა ნამდვილი გეგმები ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებიც დეკლარაციულად აცხადებენ, რომ ახლო აღმოსავლეთის ხალხების „მეგობარი" არიან და „გამოდიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ".

ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ამკარა დარღვევაა და ემუქრება მშვიდობას ამ რაიონში.

ოკეანის გაღმიდან მოქარის პასუხად აღმოსავლეთის ხალხები ახალი ძალით აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა, თავიანთი კანონიერი უფლებები კოლონიზატორების უხეში პრეტენზიებისაგან. ისინი უარყოფენ „ეიზენჰაუერის დოქტრინას" და გადაჭრით აცხადებენ: ჩვენ არ დავუშვებთ, რომ „ჩვენი პოლიტიკა თეთრ სახლში ყალიბდებოდეს".

„ეიზენჰაუერის დოქტრინა" სერიოზულ წინააღმდეგობას ხვდება თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ამ სიტუაციაში სახელმწიფო მდივანი დალესი ყველა საშუალებას ხმარობს, რათა სწრაფი ტემპით გააკაროს კონგრესში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახალი აგრესიული გეგმები.

აფრიკისა და აზიის ხალხები იმიტომ კი არ იბრძოდნენ და იბრძვიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ, რომ უფლება მისცენ ვაშინგტონს თავს დაესხას ამ რაიონის სახელმწიფოთა დამოუკიდებელ განვითარებას. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიონ სამშიერ პროვოკაციებისა და სამხედრო ავანტიურების ორგანიზატორებს. აფრიკისა და აზიის ხალხთა ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს მთელი პროგრესული ადამიანობა.

გ. ტატიშვილი.

უნგრელ ლჯოლვილებს სურთ შინ დაბრუნდნენ

ბერლინი, 9 იანვარი. (საკდესი). უნგრელ ლტოლვილებს, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში წაიყვანეს, სულ უფრო მეტად ესმით, რომ ისინი ცრუ პროპაგანდის მსხვერპლი გახდნენ.

შრომის მძიმე პირობები, მეწარმეთა მისწრაფება გამოიყენონ ლტოლვილები როგორც იაფი მუშახელი, იმის მიზეზია, რომ ბევრი მათგანი უარს ამბობს იმუშაოს დასავლეთ გერმანიის საწარმოებში. როგორც ადნის საგენტო იუწყება, მანჰაიმის მოტორშენებელ ქარხნებში დირექციის მიერ შეგროვებულმა მრავალმა უნგრელმა მიატოვა სამუშაო. სხვა ლტოლვილებმა საერთოდ ვერ შეძლეს სამუშაოს შოვნა. ასეთი ბედი ეწიათ უნგრელებს, რომლებიც იმყოფებიან შნაკენლოჰის დროებით ბანაკში მანჰაიმის მახლობლად, ბად ანტგასტის ბანაკში შვარცვალდში და სხვ.

ადნის საგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ბევრ ბანაკში მომდინარეობს უნგრელ ლტოლვილთა „დამუშავება" ამერიკის დაზვერვის ორგანოების მიერ. ეს ორგანოები ცდილობენ მიიღონ უნგრელებისაგან ჯაშუშური ხასიათის ცნობები. ბევრმა ლტოლვილმა უარი თქვა შეავსოს ანკეტები, რომლებიც შეიცავენ ამერიკის დაზვერვის მიერ შედგენილ კითხვებს.

სულ უფრო მეტი უნგრელი ლტოლვილი, რომლებიც დასავლეთ გერმანიის ბანაკებში იმყოფებიან, გამოთქვამს მისწრაფებას დაბრუნდეს სამშობლოში. ადნის საგენტო იუწყება, რომ ბრესის წარმომადგენლებთან საუბრებში მანჰაიმის რაიონში, შვარცვალდსა და პფალცში, აგრეთვე სხვა ბანაკებში ლტოლვილები აცხადებენ, რომ მხოლოდ სამშობლოში დაბრუნება გაუმჯობესებს მათს მდგომარეობას. მაგრამ ლტოლვილებს, რომლებსაც სურთ უნგრეთში დაბრუნება, ხელს უშლიან დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბოჰოლტის ვაგზალზე რკინიგზის მოხელეებმა და პოლიციამ ხელი შეუშალეს უნგრელ ლტოლვილთა ჯგუფს ჩამჯდარიყო ავსტრიაში მიმავალ მატარებელში. მოხდა შეტაკება, რომლის შემდეგ უნგრელები იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ ბანაკში. დასავლეთ ბერლინის გაზეთი „სანდაუერ ფოლკსბლატი" იუწყება, რომ ასეთივე შეტაკებები მოხდა დასავლეთ გერმანიის სხვა ქალაქებშიც, რომელთა მახლობლად მდებარეობს უნგრელ ლტოლვილთა ბანაკები.

გუშინ ადნის საგენტომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ, როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა ადასტურებს, დასავლეთ გერმანიაში მკვეთრად გადიდდა იმ უნგრელთა რიცხვი, რომლებსაც სურთ გაიმგზავრონ სამშობლოში. მაგრამ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლები ყოველი საშუალებით ცდილობენ ხელი შეუშალონ ამას, რისთვისაც ძალის გამოყენებასაც კი არ ერიდებიან.

როგორც აღნიშნულია განცხადებაში, ადნის საგენტომ საქმეს გაცნობილი წრეებისაგან გაიგო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველნაირად დაუჭერს მხარს იმ უნგრელ ლტოლვილებს, რომლებიც მოსურვებენ დაბრუნება დასავლეთ გერმანიიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით სამშობლოში, რათა იქ ხელი მოჰკიდონ მშვიდობიან შრომას.

გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 9 იანვარი (საკდესი). გუშინ დღის სხდომაზე პოლიტიკურმა კომიტეტმა კენჭი უყარა რეზოლუციათა პროექტებს კორეის საკითხზე.

პირველად კენჭი უყარეს ამერიკის რეზოლუციის პროექტს. სხდომამ იგი მიიღო ხმის უმეტესობით. ამ პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 8 დელეგაციამ — სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ბელორუსიის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, უკრაინის სსრ დელეგაციებმა. აზიისა და აფრიკის ქვეყნების 13 დელეგაციამ ამერიკის რეზოლუციის კენჭისყრაში თავი შეიკავა. ამრიგად, გენერალური ასამბლეის ამ სესიაზეც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვადასხვა სამხედრო ბლოკსა და პაქტში მათმა პარტნიორებმა შეძლეს გაეყვანათ რეზოლუცია, რომელსაც არა თუ საერთო არა აქვს რა კორეის გაერთიანების ნამდვილ მიზანთან, არამედ, პირიქით, ხელს უშლის ამ მიზნის მიღწევას.

კომიტეტმა შემდეგ მიიღო ეკვადორის, სალვადორისა და ვენესუელის დელეგაციათა რეზოლუციის პროექტი, რომელიც გამოთქვამს ინდოეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობებისადმი მადლობას კორეის ომის ყოფილი სამხედრო ტყვეების პრობლემის გადაჭრაში მათი თანამშრომლობისათვის.

ამის შემდეგ მთელმა რიგმა დელეგატებმა განმარტეს კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციების შესახებ თავიანთი კენჭისყრის მოტივები.

პირველმა კომიტეტმა ამით დამთავრა კორეის საკითხის განხილვა.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

ქაბული, 8 იანვარი. (საკდესი). წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, მიმდინარე წლის 7 იანვარს ქაბულში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის საქონელბრუნვის შესახებ ორი წლის პერიოდისათვის — 1957 და 1958 წლებისათვის.

ოქმი ითვალისწინებს საქონელბრუნვის შემდგომ ზრდასა და სსრ კავშირისა და ავღანეთის ურთიერთ მიწოდებისათვის საქონლის ნომენკლატურის გაფართოებას. მნიშვნელოვნად გადიდდება საბჭოთა კავშირიდან ავღანეთში ავტომობილების, მოწყობილობის, ნავთობპროდუქტების, შავი ლითონების მიწოდება; მიწოდებული იქნება აგრეთვე საშენი მასალები, ბამბის ქსოვილები და სხვა საქონელი. შესაბამისად დიდდება ავღანეთიდან სსრ კავშირში ბამბის, მატყლის, ტყავის ნედლეულის, ხმელი ხილის, ზეთოვანი თესლის და სსრ კავშირში ავღანეთის ექსპორტის სხვა ტრადიციული საქონლის მიწოდება.

უხეში ჩარევა შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში

ინდონეზიის საზოგადოებრიობა გმობს „ეიზენჰაუერის დოქტრინას"

ჯაკარტა, 9 იანვარი. (საკდესი). ინდონეზიის საზოგადოებრიობას მიაჩნია, რომ „ეიზენჰაუერის დოქტრინა" ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევაა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, სეროიზული საფრთხეა აღმოსავლეთის ხალხთა დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

გაზეთი „რეპუბლიკა" „ეიზენჰაუერის დოქტრინას" ახასიათებს როგორც ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო ავანტიურის თავისებური განგრძობას. აცხადებენ რა ამ გეგმებს, წერს გაზეთი, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ ალაგიგინონ დასავლეთის სახელმწიფოთა ბატონობა ამ რაიონში.

გაზეთი „ჰარიან რაქიათი" აღნიშნავს, რომ ამერიკის ახალი გეგმა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, რამდენადაც იგი ემყარება იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ თავიანთი შეიარაღებული ძალები გამოიყენონ შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ შექმნან ახალი დაძაბულობა ამ რაიონში.

გაზეთი „უნიგა" იგალიასურანგეთის შეთანხმების შესახებ

რომი, 9 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი მორის ფორი გუშინ საფრანგეთში გაემგზავრა რომიდან, სადაც იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას იტალიის მთელ რიგ ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრ მარტინოსთან. პრესის წარმომადგენლებისადმი განცხადებაში ფორმა თქვა, რომ მან მარტინოს გააცნო საფრანგეთის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთის აფრიკის ტერიტორიების შეყვანას დასავლეთ ევროპის ქვეყნების განზრახულ „საერთო ბაზარში". ამ გეგმის თანახმად, იტალიამ 15 წლის პერიოდის განმავლობაში უნდა მიაღწიოს საფრანგეთის თანაბარ მდგომარეობას საბაჟო ტარიფებისა და კაპიტალდაბანდებების მხრივ ამ ტერიტორიებზე.

ამ დაპირებათა სანაცვლოდ, როგორც გაზეთი „უნიტა" აღნიშნავს, ფორმა იტალიის მთავრობისაგან მიიღო პირობა, რომ იტალია მხარს დაუჭერს საფრანგეთს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ალჟირის საკითხის განხილვის დროს.

საგაუცვო მოძრაობა უცხოეთში

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სინგაპურიდან იუწყება, სინგაპურის კაუჩუკის მრეწველობის საწარმოთა მუშებმა გაფიცვა დაიწყეს დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ლონდონი, 9 იანვარი. (საკდესი). ინგლისის საავტომობილო ქარხანა „ტრაპ ენდ მაბერლიში", რომელიც კომპანია „რუტს მოტორს ლიმიტედს" ეკუთვნის, გაფიცვა, რომელიც ერთ თვეზე მეტს გრძელდებოდა, გაფიცულთა გამარჯვებით დამთავრდა.

გაფიცვა გამოცხადებული იყო პროტესტის ნიშნად ქარხნიდან 200-ზე მეტი კაცის დათხოვნის წინააღმდეგ.

მტკიცედ იცავენ რა მუშათა სოლიდარობის კეთილშობილურ პრინციპს, ქარხანა „ტრაპ ენდ მაბერლიზის" მუშებმა მოითხოვეს დათხოვნილთა აღდგენა, განაცხადეს, რომ მზად არიან გადავიდნენ არასრულ სამუშაო კვირაზე და გაუყონ სამუშაო და ხელფასი თავიანთ ამხანაგებს. ადმინისტრაცია იძულებული გახდა გაეუქმებინა განკარგულება დათხოვნის შესახებ.

„მტკიცე მეგობრობის დადასტურება"

ბერლინი, 8 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების ერთობლივი განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები აქვეყნებენ განცხადების სრულ ტექსტს და ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ადგილებს, სადაც ლაპარაკია ორივე სახელმწიფოს ურთიერთობაზე, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიანობას, სუვერენიტეტისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, შეთანხმებაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა ჯარების განლაგების შესახებ, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ფინანსური დახმარების გაფართოების შესახებ. ქვეყნდება აგრეთვე ცნობები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად კრემლში გამართული დარბაზობის შესახებ და დარბაზობაზე წარმოთქმული სიტყვების ტექსტები.

მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის გამგზავრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდს" მიაჩნია ის, რომ შეთანხმებამ ორივე მთავრობას შორის, რაც მიღწეულია მოლაპარაკების შედეგად, განამტკიცა საფუძველი, რომელიც საჭირო მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განგრძობისა და საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის.

გაზეთი „ბერლინერ ციტუნგი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების მთელი მსვლელობა და შედეგები მოწმობენ მტკიცე მეგობრობას, რომელიც აკავშირებს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

„ნაციონალ-ციტუნგს" სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების ერთობლივი განცხადება მიაჩნია დოკუმენტად, რომელიც ქმნის ობიექტურ წანამძღვარებს საერთაშორისო ატმოსფეროს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, აგრეთვე იმის დადასტურებად, რომ ურღვევია მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ერთიანობა.

გაზეთ „ნოიე ციტუნგში" გამოქვეყნებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ო. ნუშკეს სტატია საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ. მშვიდობისა და სოციალიზმის დიდი ბანაკი, ხაზგასმით აღნიშნულია სტატიაში, ერთხელ კიდევ უდასტურებს მთელ მსოფლიოს თავის ერთიანობასა და დარაზმულობას.

„სოციალისტური ქვეყნების ურღვევი ერთიანობა"

ტირანა, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ბაშქიმიმ" დღეს გამოაქვეყნა მოწინავე სტატია „სოციალისტური ქვეყნების ურღვევი ერთიანობა", მიძღვნილი ხუთი ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრისადმი.

ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობათა წარმომადგენლების შეხვედრას, წერს გაზეთი, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ, წინააღმდეგ აგრესიული იმპერიალისტური წრეების სურვილისა, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და თანამშრომლობა სულ უფრო ურღვევი ხდება და რომ ეს ერთიანობა დღითიდღე განმტკიცდება.

ჩვენი ხალხი, განაგრძობს გაზეთი, კმაყოფილებით შეხვდა ზოგიერთი სოციალისტური ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრის შედეგებს და სრულ სოლიდარობას უცხადებს მათ. ჩვენი ხალხი ურღვევი მეგობრობით დაკავშირებული სოციალიზმის ბანაკთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს, კვლავაც ყოველი ღონისძიებით იბრძოლებს სოციალისტური ქვეყნების ძმური ოჯახის განუწყვეტელი განმტკიცებისათვის. იგი ღრმად დარწმუნებულია, რომ იმპერიალისტთა ყოველგვარი ავანტიურისტული გეგმები და ხრიკები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ სამარცხვინოდ ჩაიფუშება. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლა.

კოღონიზაციორთა შეთქმულება ალჟირის წინააღმდეგ

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). პარიზის ყველა დღევანდელი გაზეთი, გარდა მმართველი სოციალისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „პოპულერ დე პარისა", გაცხოველებულ კომენტარს უკეთებს დიდ პოლიტიკურ სკანდალს, რომელიც მოხდა იმის გამო, რომ ალჟირში აღმოაჩინეს ფრანგ კოლონისტთა შეთქმულება, რომელსაც მხარს უჭერდნენ საფრანგეთის სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირები.

უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში დემოკრატიული პრესა იუწყებოდა ალჟირში ფრანგ მოსახლეთა რიცხვიდან იმ მოფაშისტურ ელემენტების საწარელ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებმაც მასობრივი ტერორი გაანადგურეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა და საერთოდ ალჟირის მუსლიმანი მოსახლეობის წინააღმდეგ. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ კოლონიზატორთა ტერორისტულ საქმიანობას ასეთი გაქანება შეიძლებოდა მიეღო მხოლოდ მათი პირდაპირი შეთანხმების შედეგად საფრანგეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. აქამდე საფრანგეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა ამგვარი შეთქმულების არსებობას, მაგრამ დღევანდელი გაზეთების ცნობები სულ სხვას მოწმობენ.

გუშინ საღამის ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მეტროპოლიაში გაიწვიეს და 30 დღით დააპატიმრეს ქალაქ ალჟირში დისლოცირებული დივიზიის მეთაურის მოადგილე გენერალი ეაკ ფორი.

გაზეთების ინფორმაციით, გენერალმა ფორმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ეგრეთწოდებულ „ალჟირის კომიტეტთან" — ფრანგ რასისტთა არალეგალურ ორგანიზაციასთან. კომიტეტის შემადგენლობაში, როგორც გაზეთი „ეკო" აღნიშნავს, შედიან ხელმძღვანელები ორი ფაშისტური ორგანიზაციისა, რომელთა საქმიანობა ალჟირში ოფიციალურად აკრძალულია, — „საფრანგეთის წინააღმდეგობის კომიტეტისა" და „საფრანგეთის აფრიკის წინააღმდეგობის ორგანიზაციისა". ამ ორგანიზაციების წევრებს მიაჩნიათ, რომ საფრანგეთის მთავრობა საკმაოდ ენერგიულად არ ახშობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ალჟირში, და მოითხოვს „უკიდურეს ღონისძიებათა" მიღებას ამ ქვეყანაში საფრანგეთის ბატონობის უზრუნველსაყოფად. მათ მოამზადეს ალჟირში სამხედრო დიქტატურისა და რასისტული დევნის რეჟიმის დამყარების გეგმაც კი.

„ალჟირის კომიტეტის" აქტიურ თანამშრომლთა შორის გაზეთები ასახელებენ, გარდა ფორისა, საფრანგეთის ავიაციის სარდალს ალჟირში გენერალ დიუმენილ დე მარიკურს, გენერალ ფრანდონს და სხვა მაღალი თანამდებობის ოფიცრებს.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ „გენერლების შეთქმულების" წარმოშობას ხელი შეუწყო პოლიტიკამ, რომელსაც ახორციელებდა მოლეს მთავრობა, რომელიც სიტყვათ თავს უწოდებს ალჟირის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის მომხრეს, ხოლო საქმით ახორციელებს ალჟირელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის სასტიკ ჩახშობას.



თბილისი. საახალწლო ნაძვისხე აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შვილების სბავშვო ბაღში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისელი კალათბურთელები ფინალში გავიდნენ

რიგა, 9 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). მეექვსე დღეა, რაც ლატვიის დედაქალაქში ძიდინარეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ახალგაზრდა კალათბურთელთა გუნდების სრულიად საკავშირო შეჯიბრება, მიძღვნილი კალათბურთის 50 წლისთავისადმი.

კვლავ წარმატებით გამოდის საზოგადოება „ბურევესტნიკის" თბილისის ქალთა გუნდი. ალბა რა უკანასკნელ წინასწარ შეხვედრებში „კალევის" (ტარტუ) სპორტსმენ ქალებს ახგარიშით 78 : 28 და „დაუგავას" — რიგის გუნდს ანგარიშით 57 : 47, იგი პირველობის ფინალში გავიდა. მასთან ერთად საპრიზო ადგილებს ერთმანეთს შეეცილებიან „დინამოს" და „სტროიტელის" მოსკოვის კოლექტივები, აგრეთვე „ბურევესტნიკის" (ლენინგრადი) გუნდი.

თბილისელ ჭაბუკ დინამოელებს, რომლებიც დღემდე დაუმარცხებლად მიდიოდნენ, წარმატება არ ხვდათ თამაშში „კალევის" გუნდთან (ტარტუ). ეს შეხვედრა თბილისელებმა წაგეს ანგარიშით 42:43.

მეორე დღეს თბილისელებმა ანგარიშით 77:43 მოუგეს „ბურევესტნიკის" კიევის გუნდს და მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება. მათთან ერთად პირველ ოთხ ადგილს ერთმანეთს შეეცილებიან „დინამოს", „სპარტაკის" მოსკოვის გუნდები და „კალევი" (ტარტუ).

ახალგაზრდა ჩოგბურთელთა შეჯიბრება

თბილისში დამთავრდა ჩოგბურთში ჭაბუკთა გუნდების ზონალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების თბილისის, ერევნის, ბაკოს, სოხუმისა და ქუთაისის ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის ჭაბუკი ჩოგბურთელები, რომლებმაც ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად დამთავრეს. მათ მოიპოვეს პირველი ადგილი და უფლება მონაწილეობა მიიღონ ჩოგბურთში ჭაბუკთა სრულიად საკავშირო შეჯიბრების ფინალურ თამაშში, რომელიც მოსკოვში გაიმართება გაზაფხულის სასკოლო არდადეგების დღეებში. მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს ერევნის ახალგაზრდა სპორტსმენებმა, მესამე ადგილზეა ბაკოს გუნდი. (საქდესი).